“როცა ერთმანეთს ვჭირდებით“

პროექტის აღწერა

„განათლება დიდებული საშუალებაა პიროვნების განვითარებისათვის. სწორედ განათლების წყალობით შეიძლება გლეხის შვილი გახდეს ექიმი, მეშახტის შვილი- შახტის დირექტორი, ფერმერის შვილი- ქვეყნის დირექტორი“ - ნელსონ მანდელას ეს ციტატა ზუსტად აღწერს განათლების უდიდეს მნიშვნელობას და ჩვენს მთავარ მოტივაციას წარმოდგენილი პროექტის ინიცირებისთვის.

საქართველოში არსებული ეკონომიკურ-სოციალური სიტუაცია და საჯარო სკოლებში არსებული პრობლემები არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მოსწავლეთა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს. მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ეკონომიკური, ოჯახური თუ სხვა ფაქტორიდან გამომდინარე, არ ეძლევათ ხარისხიანი განათლების მიღებისა და აქედან გამომდინარე თვითრეალიზების საშუალება.

არსებული პრობლემის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ, შეგვექმნა მოხალისე სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებს დაეხმარებიან სასკოლო განათლების პროცესში საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

ჩვენ მიერ წამოწყებული <u>**პროექტის მიზანია**</u> მოწყვლადი ჯგუფების ბავშვების განვითარების მხარდაჭერა, მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებით. ჩვენ გვინდა მივცეთ მეტი შესაძლებლობა მათ განვითარებისთვის, საკუთარი ძლიერი მხარეებისა და ინტერესების აღმოჩენისთვის.

ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ განათლებულ, სამოქალაქო ცნობიერებით აღჭურვილ ახალგაზრდობას შეუძლია იზრუნოს ქვეყნის განვითარებაზე. გვაქვს სურვილი, შევიტანოთ წვლილი ქვეყანაში მოსწავლეების განათლების ხარისხისა და სწავლის მოტივაციის ამაღლებაში ბავშვებისთვის, რომელთაც არ აქვთ კეთილსაიმედო სოციალური პირობები.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, სკოლის დირექციის ხელშეწყობით დაიწყო პროექტის - “როცა ერთმანეთს ვჭირდებით“ პილოტის განხორციელება ქალაქ თბილისის N31 საჯარო სკოლაში . 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში მოხალისე სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც ამჟამად შედგება 13 ადამიანისგან, დადიოდა აღნიშნულ სკოლაში და სწავლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ მყოფ მძიმე სოციალური გარემოს მქონე ბავშვებს საგაკვეთილო პროცესის შემდეგ დამატებით ამუშავებდა მიმდინარე პროგრამის სრულფასოვნად ასათვისებლად.

ჩვენთვის პიროვნულად მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი მუშაობა.

ჩვენი სურვილია, ეს პროექტი გაფართოვდეს და ეს მოხალისეობრივი საქმიანობა მხოლოდ ერთი სკოლის დახმარებით არ შემოიფარგლოს, მიიღოს მან უფრო მასშტაბური სახე. ამისთვის აუცილებელია უფრო მეტი სტუდენტის მოზიდვა და პროექტის გაცნობა სხვა საჯარო სკოლებისთვის. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონების ჩართვა.

იმისთვის, რომ გავზარდოთ მოტივაცია, არამხოლოდ სკოლის მოსწავლეებში, არამედ თავად სტუდენტებშიც და მათი ენერგია და ენთუზიაზმი იქით მიემართოს, საითაც დღეს ეს ყველაზე მეტად არის საჭირო, კარგი იქნება, სკოლისა და უნივერსიტეტის ერთმანეთთან დაკავშირება. ჩვენი აზრით, ეს ძალიან საჭიროა ორივე მხარისთვის.

პროექტის "როცა ერთმანეთს ვჭირდებით" ამოცანაა, მოსწავლეებში სწავლის ინტერესის გაღვივება, შესაძლებლობების გაფართოება თვითგანვითარებისთვის. მათ უნდა მიიღონ მეტი ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ, რომ დაინახონ მომავალში შესაძლო არჩევანი და დაფიქრდნენ, რა მიმართულებით სურთ სვლა.

 გვინდა ბავშვებს განათლების აუცილებლობა და საჭიროება დავანახოთ, რათა მათ გაითავისონ, რომ დღევანდელ მსოფლიოში განათლება ერთადერთი საშუალებაა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და წარმატების მიღწევისთვის, რომ სავალდებულო სასკოლო განათლების გარეშე ისინი ვერ გახდებიან სრულფასოვანი მოქალაქეები და ასე ავამაღლოთ მათი სწავლის მოტივაცია. დავეხმაროთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ სწავლის სურვილი, მაგრამ ბოლომდე სრულყოფილად ვერ ართმევენ მიმდინარე პროგრამას თავს და ესაჭიროებათ დახმარება აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის.

 სასკოლო განათლებასთან ერთად, ახალგაზრდებთან ურთიერთობა მოსწავლეებს სხვა, უფრო პრაქტიკული, რეალური და საინტერესო კუთხით წარმოუჩენს ამა თუ იმ პროფესიას. მცირე ასაკობრივი სხვაობა, განაპირობებს მეტ ურთიერთგაგებას, ერთ ენაზე საუბრის მეტ შესაძლებლობას, ურთიერთნდობისა და გაგების ჩამოყალიბებას. ეს ფაქტორი სწავლების მეთოდების გადახალისებასაც შეუწყობს ხელს. მზად ვართ გამოვიყენოთ ცოდნის გადაცემისთვის მრავალფეროვანი მიდგომები და ხერხები, მაგალითად როგორებიცაა კლუბური მუშაობები, კინოფილმების, მულტფილმების, თუნდაც ვიდეო თამაშების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, რაც მოსწავლისთვის ძალიან საინტერესო და სასარგებლოც იქნება.

სტუდენტები ასევე შეუწყობენ ხელს, მოსწავლეების დაინტერესებასა და ადაპტირებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, მსოფლიოს ტექნიკურ მიღწევებთან, რათა მათი ინფორმირებულობა იყოს მაღალი და მოიმატოს სიახლეების მიღების წყურვილმა.

სტუდენტებისთვის ორმაგად საინტერესოა ამ პლატფორმაში ჩართვა, რადგან ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის პროცესი მოითხოვს, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას, გადმოცემის მრავალფეროვანი ფორმების მოძებნას, რაც ახალგაზრდა ასაკში, პროფესიონალად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

შესაძლებელია, რომ პროექტის მონაწილეები არ შემოიფარგლონ, მხოლოდ სასკოლო საგნებით, იმუშაონ სხვადასხვა პროფესიის (ბიზნესის, სამართლის, კომპიუტერული ტექნოლოგიების,

ხელოვნების სხვადასხვა დარგის და ა.შ.) გაცნობის მიმართულებით, რომლის მიზანიც ისევ სწავლისა და განვითარებისთვის ინტერესის გაღვივება და სხვადასხვა შესაძლებლობის აღმოჩენაა..

პროექტის ამოცანებია:

- **სკოლასა და უნივერსიტეტს შორის კავშირის გამყარება** - ჩვენი გამოცდილებით სტუდენტების მოსწავლეებთან ურთიერთობა ხელს შეუწყობს სკოლებში მასწავლებელთა ახალი ნაკადის შედინებას. დაანახებს რა სტუდენტებს, რომ მასწავლებლობა სასიამოვნო, საინტერესო, მრავალფეროვანი და უსაზღვროდ მნიშვნელობანი პროფესიაა. ასაკობრივი სიახლოვე კი მოსწავლეებს ხელს შეუწყობს მეტ გახსნილობაში. მოსწავლისთვის ახალგაზრდებთან ურთიერთობა განათლებისადმი ინტერესს კიდევ უფრო გააღვივებს. შესაბამისად, დამყარდება კომუნიკაცია სკოლასა და უნივერსიტეტს შორის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა არამარტო მოსწავლისთვის, არამედ სტუდენტისთვის. სტუდენტს ექნება საშუალება შეაფასოს და გამოიყენოს უნივერსიტეტში დაგროვილი ცოდნა. ეს გამოცდილება სტუდენტს არა მხოლოდ მისცემს საშუალებას შეაფასოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, არამედ სკოლას მასწავლებლის თვალით დაანახვებს.
- **მეტი სიხალისე გაკვეთილებს** - სტუდენტები მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა მეთოდებს გამოიყენებენ (ექსკურსიები, ბავშვის შემოქმედებითობის წინ წამოწევა, მისი აქტიურად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში) რაც მიზნად ისახავს ბავშვების წახალისებას, მათი მოტივაციის გაზრდას.
- **სტუდენტების გამოცდილება** - ჩვენი პროექტი ცოდნის შეფასებისა და გამოცდილების მიღების ყველაზე ეფექტური საშუალებაა სტუდენტისთვის, იქნება შესაძლებლობა ამ მიმართულებით პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის.
- **ტრენინგი-** სტუდენტებს, რომლებიც შემდგომში იმუშავებენ ბავშვებთან, გამოცდილი მასწავლებლები გაუწევენ კონსულტირებას, გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ახალგაზრდებს.
- **სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივის გაფართოება** - სკოლებში მოხალისეობრივი აქტივობების წარმატებით განხორციელების შემდეგ სტუდენტებს დასაქმების მეტი შანსი ექნებათ.

პროექტის „როცა ერთმანეთს ვჭირდებით“ მოსალოდნელი საბოლოო შედეგი ბავშვებში სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და მოტივაციის ამაღლებაა, ასევე სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის კავშირისა და მოქმედ და მომავალ მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის დამყარება. სტუდენტებისთვის გამოცდილების მიღება, რაც მათ შემდგომში აუცილებლად გამოადგებათ.

ჩვენს პროექტში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციებია:

- **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** – სკოლების მოძიება, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის პროექტის გაცნობა, პროექტის ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა.
- **საჯარო სკოლების ადმინისტრაცია** – მშობლებისა და მასწავლებლებისთვის პროექტის გაცნობა. მოსწავლეების შერჩევის ორგანიზება, სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა, მიმდინარე აქტივობების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების კონსულტირება.
- **უმაღლესი სასწავლებლები** – პროექტის გაცნობა სტუდენტებისთვის, მოხალისეთა შესახებ ინფორმაციის სამინისტროსთვის მოწოდება.
- **მოხალისე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი** - მონაწილეობის მსურველი სტუდენტებისთვის პროექტის დეტალურად გაცნობა და გამოცდილების, მიგნებების გაზიარება, სტუდენტების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრა, ინფორმაციის კონსოლიდირება, მათ შორის აკადემიური მიმართულებების (საგნების) მიხედვით, მონაწილეობის მსურველ სკოლებში განაწილება და შემდგომი მონიტორინგი. უშუალო კავშირის ქონა სკოლების ადმინისტრაციასთან.

სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი